

121

1.1.1/30/73

ქ. თბილისი

14 თებერვალი, 2013 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ქ. თბილისის მერის მოადგილის პაპუნა პეტრიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს “ანჯ-მეტალი” (“შემდგომში მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ გორდულაძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 2.1 “დღე”, “კვირა”, “თვე” - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
- 2.2 დანართი – ნებისმიერი დამატებითი მასალა (წერილობით შედგენილი), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას. დანართი, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, ტექნიკური პირობები, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

- 3.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში მთაწმინდის ზონის გზებისა და ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;
- 3.2 შესყიდვის საშუალება – ელექტრონული ტენდერი;
- 3.3 ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი - SPA130000724;
- 3.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - 679 999.47 (ექვსასამოცდაცხრამეტი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 47 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით;
- 3.5 კლასიფიკატორის კოდი - 45233142;
- 3.6 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებიდან და ძალაშია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. სამუშაოს შესრულების ვადა, რაოდენობა და ადგილი

- 4.1 შესაკეთებელი კონკრეტული ობიექტ(ებ)ის მისამართი, დეფექტური აქტი და შესრულების გეგმა-გრაფიკი (საჭიროების შემთხვევაში) შემსყიდველის (წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის სახით) მიერ ეტაპობრივად ეცნობება მიმწოდებელს.
- 4.2 მთლიანი სამუშაოების დასრულების ვადა – ეტაპობრივად, 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 4.3 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონში მთაწმინდის ზონის გზები და ქუჩები.

5. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

- 5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
- 5.2 ანგარიშსწორება მოხდება 2013 წლის თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 5.3 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და საბანკო გარანტიის საფუძველზე, არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 20%-სა (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას).